

K 5175-

ခုချေးစွာရှုရန် ပုဂ္ဂမြို့ (ဘဏ္ဍာလွှာဂုဏ်ဆေး)

ရန်ကုန်တော်
ဒဂုလျာဂုဏ်ဆေး

၄၁၂

ခုချေးစွာရှုရန် ပုဂ္ဂမြို့ (ဘဏ္ဍာလွှာဂုဏ်ဆေး)

342
5-64

✓

34C. 02

5. 736


404 K. II

အုပေသစီဝါပြုပို့

အေဒီ ၁၉၂၅ ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၁၃ ရက်နေ့၊ နေ့ ၁၀၁
အေဒီ ၁၉၂၅ ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၁၃ ရက်နေ့၊ နေ့ ၁၀၁

အုပေသစီဝါ

ပုဂ္ဂမြို့ မြန်မာနိုင်



အုပေသစီဝါ မြန်မာနိုင်

မြန်မာနိုင်လူ့ရဲ့ ဒုက္ခဝါဖူ့ဖူ့ ဥနပါမ်မြှုပ်နည်း အမှတ် ၈၀

195X.

ပုဂ္ဂမြို့

၁၉၂၄ ခုနှစ်

დადგენილება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირები მოწვევის მეორე ხესინისა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) დამტკიცდეს და დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი, მიღებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამა სესიის მიერ, წარედგინოს საბოლოო დასამტკიცებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობას.

3. ვიდრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მე-4 და მე-5 თავის საფუძველზე შესდგებოდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ყველა რწმუნებულება, რაც კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, დაკავისროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრე-

ზიდიუმს, რომელიც არჩეულ იქნა 19 წევრებისაგან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სესიაზე 1922 წლის დეკემბრის 30-ს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. კ. კალინინი

მოსკოვი—კრემლი.
1923 წლის ივლისის 6.

საბჭოთა ცენტრალური რესპუბლიკუ- ნის კავშირის მირითადი კანონი (კონსტიტუცია).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღფრთოვანებით აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველთა შეურყევლობას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების 1-ლი ყრილობის დადგენილების აღსასრულებლად, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების 1-ლი ყრილობის მიერ ქ. მოსკოვში 1922 წლის დეკემბრის 30-ს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ მიღებული ხელშეკრულების საფუძველზე, იღებს რა ამასთანავე მხედველობაში მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოდგენილ ყველა შესწორებასა და ცვლილებას,—**ა დ გ ე ნ ს:**

დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების თაობაზე და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია).

კარი პირველი.

დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის დაარსების შესახებ.

დღიდან საბჭოთა რესპუბლიკების დაარსებისა მსოფლიოს სახელმწიფონი გაიპო ორ ბანაკად: კაპიტალიზმის ბანაკი და სოციალიზმის ბანაკი.

იქ, კაპიტალიზმის ბანაკში—ეროვნული შუღლი და უთანასწორობა, კოლონიალური მონობა და შოვინიზმი, ეროვნული ჩაგვრა და რბევა, იმპერიალისტური მხეცობა და ომები.

იქ, სოციალიზმის ბანაკში—ურთიერთშორის ნდობა და მშვიდობიანობა, ეროვნული თავისუფლება და თანასწორობა, მშვიდობიანი ცხოვრება და ხალხთა ძმური თანამშრომლობა.

კაპიტალისტური მსოფლიოს ცდა, ათეული წლების განმავლობაში, გადასწყვიტოს ეროვნული საკითხი ხალხთა თავისუფალი განვითარებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემის შეთავსებით,—უნაყოფო აღმოჩნდა. პირიქით, ეროვნულ წინააღმდეგობათა ქსელი კიდევ მეტად იხლართება და თვით კაპიტალიზმის არსებობას საფრთხეს უმზადებს. ბურჯუაზია უღონო აღმოჩნდა მოაგვაროს ხალხთა თანამშრომლობის საქმე.

მხოლოდ საბჭოთა ბანაკში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, იმ დიქტატურისა, რო-

მელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მოსახლეობის უცრა-
ვლესობა, შესძლებელი გახდა ეროვნული ჩაგვრის ძი-
რიან-ფესვიანად აღმოფხვრა, ურთიერთი ნდობის განწყო-
ბილების შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრობლობის
დამყარება.

მარტოოდენ ამ გარემოებათა წყალობით შესძლეს
საბჭოთა რესპუბლიკებმა მოეგერებიათ მთელი მსოფლიოს
იმპერიალისტების, შინაური და გარეშე იმპერიალისტე-
ბის, თავდასხმა; მარტოოდენ ამ გარემოებათა წყალობით
მოახერხეს მათ წარმატებით დაემთავრებიათ სამოქალა-
ქო ომი, უზრუნველეყოთ თავისი არსებობა და ხელი
მოეკიდათ მშვიდობიანი სამეურნეო აღმშენებლობისათვის.

მაგრამ ხანგრძლივ ომიანობას უკვალოდ არ ჩაუვ-
ლია. განადგურებული მინდორ-ველები, გაჩერებული
ქარხნები, მოშლილი საწარმოო ძალები და გაცამტვერე-
ბული სამეურნეო რესურსები, ომიანობამ რომ მემკი-
დროებით გადმოგვცა, — არასაკმარისად ხდის ცალკე რეს-
პუბლიკათა განკერძოებულ შრომა-მეცადინეობას სამეურ-
ნეო აღმშენებლობის სფეროში. სახალხო მეურნეობის
აღდგენა შეუძლებელი შეიქნა რესპუბლიკათა განცალკე-
ვებული არსებობის პირობებში.

მეორეს მხრით, საერთაშორისო მდგომარეობის მე-
რყეობა და საფრთხე ახალ-ახალი თავდასხმისა აუცილე-
ბლად ხდის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებული
ფრონტის შექმნას კაპიტალისტური რეალის წინააღმდეგ.

დასასრულ, თვით აგებულება საბჭოთა ხელისუფ-
ლებისა, რომელიც თავისი კლასიური ბუნებით ინტერ-
ნაციონალურია, აგულიანებს საბჭოთა რესპუბლიკების
მშრომელ მასებს გაერთიანდნენ და იქცენ ერთ სოცია-
ლისტურ ოჯახად.

ყველა აღნიშნული გარემოება უდავოდ მოითხოვს
საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ საკავშირო



სახელმწიფოდ, რომელც შესძლებს უზრუნველყოს კულტურული მირი საგარეო საფრთხეესაგან, უზრუნველყოს შინაური სამეურნეო წარმატებაც და ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებაც.

ნებისყოფა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა, რომელნიც ამას წინად შეიკრიბნენ თავითანათ საბჭოების ყრილობებზე და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ დაარსების შესახებ, საიმედო თავდებია იმისა, რომ ეს კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომ თვითეულ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს უფლება თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან, რომ კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამ უამაღ არსებული, ისე მომავალში აღმოცენებული, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ღირსეული დაგვირგვინება ხალხთა მშვიდობიანი და ძმური თანამშრომლობის იმ საფუძვლისა, რომელიც ჩაყრილ იქნა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში, რომ ეს სახელმწიფო იქნება საიმეორიალი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალი გადამწყვეტი ნაბიჯი ყველა ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებისათვის მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად.

გარი მეორე.

ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერა-

ტიული საბჭოთა რესპუბლიკა (აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) შეერთდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

თავი პირველი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა გამგებლობის ხაგნები.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის,—მისი უმაღლესი ორგანოების სახით,—გამგებლობას ექვედება:

ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთ დამოკიდებულებაში, ყოველნაირი დიპლომატიური ურთიერთობის დაჭერა, პოლიტიკური და სხვა ხელშეკრულების დადება უცხო სახელმწიფოებთან;

ბ) კავშირის საგარეო საზღვრების შეცვლა და აგრძელება მუკავშირე რესპუბლიკათა შორის საზღვრების

„ საკითხების მოწესრიგება;

გ) ხელშეკრულების დადება კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღების შესახებ;

დ) ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა;

ე) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო და შინაგანი სესხის აღება და მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საგარეო და შინაგანი სესხის აღების ნებართვის მიცემა;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია;

ზ) საგარეო ვაჭრობის ხელმძღვანელობა და შინავაჭრობის სისტემის დაწესება;



თ) კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველთა და საერთო გეგმის დაწესება, განსაზღვრა მრეწველობის დარგებისა და ცალკე სამრეწველო საწარმოთა, რომელთაც აქვთ საერთო-საკავშირო მნიშვნელობა, საკონცესიო ხელშეკრულებათა დადება, როგორც საერთო-საკავშირო ხელშეკრულებათა, ისე მოქავშირე რესპუბლიკების სახელით;

ი) ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის ხელმძღვანელობა;

კ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეისარაღებულ ძალთა ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

ლ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, რომელშიაც შედის მოქავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები; დაწესება ზოგად-საკავშირო გადასახადისა და შემოსავლისა და აგრეთვე მათი ანარიცხისა და ზედნართისა, რაც უნდა მოხმარდეს მოქავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების შედგენას; ნებართვის მიცემა დამატებითი გადასახადისა და გამოსაღების შემოღებისათვის მოქავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების შესაქმნელად;

მ) ფულის და კრედიტის ერთიანი სისტემის დაწესება;

ნ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელს ტერიტორიაზე მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობისა და აგრეთვე მიწის წიაღისა, ტყისა და წყლის სარგებლობის ზოგად საფუძველთა დამყარება;

ო) საერთო-საკავშირო კანონმდებლობა რესპუბლიკათა შორის გადასახლების თაობაზე და გადასახლების ფონდის დაწესება;

პ) სასამართლოს წყობილებისა და სასამართლოს წარმოების საფუძველთა დამყარება და აგრეთვე კავშირის დაწესება;

რის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებარებულობა;

- რ) შრომის ძირითად კანონთა დამყარება;
ს) საერთო საფუძველთა დამყარება სახალხო განა-
თლების სფეროში;

ტ) საერთო ღონისძიებათა დაწესება ხალხის ჯან-
მრთელობის დაცვის სფეროში;

უ) ზომა-წონის დამყარება;

ფ) საერთო-საკავშირო სტატისტიკის ორგანიზაცია;

ქ) ძარითადი კანონმდებლობა საკავშირო მოქალა-
ქობის სფეროში უცხოელთა უფლების შესახებ;

ღ) ამნისტიის უფლება, რაიც გავრცელდება კავში-
რის მთელს ტერიტორიაზე;

ყ) საბჭოთა ყრილობებისა და მოკავშირე რესპუბ-
ლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების იმ-
დადგენილებათა გაუქმება, რომელიც დაარღვევს ამა კონ-
სტიტუციას;

ც) მოკავშირე რესპუბლიკათა შორის აღმრული სა-
დავო საკითხების გადაწყვეტა.

2. ამა კონსტიტუციის ძირითად საფუძველთა დამტკიცება და შეცვლა ექვემდებარება მარტოოდენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობის გამგებლობას.

ତାତ୍ପର କାନ୍ଦିଲା.

მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლება და
საკავშირო მოქალაქეობა.

3. მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტი შე-
ზღუდულია მხოლოდ ამა კონსტიტუციით გათვალისწინე-
ბულ ფარგლებში და მარტო იმ საგანთა სფეროში,
რაც მიეკუთვნება კავშირის კომპეტენციას. აღნიშნული



ფარგლების გარეშე თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა
დამოუკიდებლად განახორციელებს თავის სახელმწიფო ე-
ბრივ ხელისუფლებას; საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-
ლიკების კავშირი დაიცავს მოკავშირე რესპუბლიკათა სუ-
ვერენულ უფლებას.

4. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა შეინარჩუნებს
უფლებას თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან.

5. მოკავშირე რესპუბლიკები, ამა კონსტიტუციის
მიხედვით, შეიტანენ ცვლილებას თავიანთ კონსტიტუცი-
აში.

6. მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორია არ შე-
იძლება შეცვლილ იქნეს მისი თანხმობის გარეშე; აგრე-
თვე მე-4 მუხლის შეცვლისა, შეზღუდვისა ან გაუქმებისა-
თვის საჭიროა თანხმობა ყველა რესპუბლიკისა, რომელიც
შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

7. მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთათვის და-
წესებულია ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა.

თავი მესამე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
საბჭოების ყრილობა.

8. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საბჭოთა
ყრილობა, ხოლო საბჭოთა ერთი ყრილობიდან მეორე
ყრილობამდე—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რო-
მელიც შესდგება საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა სა-
ბჭოსაგან.

9. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის საბჭოების ყრილობა შესდგება საქალაქო საბჭოები-
სა და ქალაქური დასახლებული ადგილების საბჭოების



წარმომადგენელთაგან—იმ ვარაუდით, რომ ყოველ 25000 ამომრჩეველზე მოდიოდეს თითო დეპუტატი—და საბჭოთა საგუბერნიო ყრილობების წარმომადგენელთაგან იმ ვარაუდით, რომ ყოველ 125,000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დეპუტატი.

10. დელეგატებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობისათვის აირჩევენ საბჭოთა საგუბერნიო ყრილობანი. იმ რესპუბლიკაში, სადაც საგუბერნიო შენაერთები არ არის, დელეგატებს უშუალოდ აირჩევს ამა თუ იმ რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა.

11. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მორიგ ყრილობას მოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—წელიწადში ერთხელ; საგანგებო ყრილობას მოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—თავისი საკუთარი გადაწყვეტილებით, საკავშირო საბჭოს ან ეროვნებათა საბჭოს მოთხოვნით ან და ორი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით.

12. განსაკუთრებულ პირობებში, რაიც დაბრკოლებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობის ვადაზე მოწვევას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევა გადასდოს ყრილობის მოწვევა.

თავი მიოთხეა.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.**

13. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან.

14. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა იირჩევს საკავშირო საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან, პროპორციულად თვითეული მათგანის მოსახლეობისა,—სულ 414 წევრის შემადგენლობით.

15. ეროვნებათა საბჭო შესდგება მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან,—იმ ვარაუდით, რომ თვითეულ რესპუბლიკაზე მოდიოდეს 5 წარმომადგენელი,—და რუსეთის სოც.-ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ავტონომიური ოლქების წარმომადგენელთაგან იმ ვარაუდით, რომ თვითეულ ოლქზე მოდიოდეს ერთი წარმომადგენელი. ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობას მთლიანად დაამტკიცებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა.

შენიშვნა. აჭარისტანისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი გაგზავნიან ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს.

16. საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო განიხილავენ ყველა დეკრეტს, კოდექსსა და დადგენილებას, რასაც მათ გადასცემს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო, კავშირის ცალკე სახალხო კომისარიატები, მოკავშირე რეს-

პუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი ჯოვანი ტეტები
და აგრეთვე ყველა დეკრეტის, კოდექსისა და დადგენილე-
ბას, რომელიც აღიძვრის საკავშირო საბჭოს და ეროვნე-
ბათა საბჭოს თაოსნობით.

17. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოს-
ცემს კოდექსებს, დეკრეტებს, დადგენილებათ და განკარ-
გულებათ, გააერთიანებს საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირის მოქმედებას კანონმდებლობისა და
მმართველობის სფეროში და განსაზღვრავს საბჭოთა სო-
ციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და სახლოხო
კომისართა საბჭოს მოქმედების ფარგლებს.

18. ყველა დეკრეტი და დადგენილება, რომელიც
განსაზღვრავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის პროგრესური და ეკონომიკური ცხოვრების ზო-
გად ნორმებს, აგრეთვე ისეთი, რომელიც ძირითად ცვლი-
ლებას შეიტანს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკე-
ბის კავშირის სახელმწიფო ორგანოთა არსებულ პრაქტი-
კაში,—აუცილებლად უნდა წარიდგინოს განსახილებად
და დასამტკიცებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-
ლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-
ტეტის.

19. ყველა დეკრეტი, დადგენილება და განკარგუ-
ლება, რასაც გამოსცემს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტი სავალდებულოა აღსასრულებლად საბჭოთა სო-
ციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელს ტერიტო-
რიაზე.

20. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება
აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ყველა დეკრეტი, დადგენი-
ლება და განკარგულება საბჭოთა სოციალისტური რეს-



პუბლიკების კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებისა და ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ხელისუფლების სხვა ორგანოებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე.

21. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის მოწიგვების მოიწვევს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი - წელიწადში სამჯერ. საგანგებო სესია მოწვეულ უნდა იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის ან ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის მოთხოვნით და აგრეთვე ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით.

22. ყოველ კანონპროექტს, რომელიც უნდა განიხილოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურმა ოღმასრულებელმა კომიტეტმა, ეძლევა კანონის ძალა მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ იგი მიღებულ იქნება როგორც საკავშირო საბჭოს, ისე ეროვნებათა საბჭოს მიერ და გამოქვეყნდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის სახელით.

23. უკეთუ საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო ვერ შეთანხმდნენ საკითხი გადაეცემა მათ მიერ დაარსებულ შემთანხმებელ კომისიას.

24. უკეთუ შემთანხმებელ კომისიაში შეთანხმება ვერ მოხდა, საკითხი გადაეცემა განსახილველად საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებულ სხდომას; ამასთანავე, ვინიცობაა საკითხმა ვერ მიიღო საკავ-

შირო საბჭოს ან ეროვნებათა საბჭოს ხმის უკუცლესობა, იგი შეიძლება, ერთ-ერთი ამ ორგანოს მოთხოვნით, წარედგინოს გადასაწყვეტიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მორიგ ან საგანგებო ყრილობას.

25. საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო თავიანთი სესიების მომზადებისათვის და ამ სესიების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის აირჩევენ პრეზიდიუმებს შვიდ-შვიდი წევრის შემადგენლობით.

26. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორე სესიამდე ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელსაც შეადგენს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 21 წევრისაგან; პრეზიდიუმის წევრთა რიცხვში სრული შემადგენლობით შედის საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი და ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შესადგენათ, თანახმად ამა კონსტიტუციის 26 და 37 მუხლებისა, იმართება საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებული სხდომა. საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შეერთებულ სხდომაზე კენჭის ყრა ხდება ცალკე საკავშირო საბჭოში და ცალკე ეროვნებათა საბჭოში.

27. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკებითა რიცხვისამებრ აირჩევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოთხ თავმჯდომარეს საბჭოთა



სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან.

28. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობის წინაშე.

თავი გენერალი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

29. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორე სესიამდე—არის უმაღლესი კანონმდებლობითი. აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლებისა.

30. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს აღევნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის განხორციელებას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადკენილებათა შესრულებას ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ.

31. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს და გააუქმოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ცალქე სახალხო კომისარიატების

დადგენილებანი და ოგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათ
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალ-
ხო კომისართა საბჭოების დადგენილებანი.

32. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრე-
ზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს მოკავშირე რესპუბლი-
კების საბჭოთა ყრილობის დადგენილება, ხოლო შემდ-
გომ ასეთი დადგენილება უნდა წარუდგინოს განსახილ-
ველად და დასამტკიცებლად საბჭოთა სოციალისტურ
რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ
კომიტეტს.

33. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრე-
ზიდიუმი გამოსცემს დეკრეტებს, დადგენილებათ და
განკარგულებათ, განიხილავს და დაამტკიცებს დეკრე-
ტებისა და დადგენილებათა პროექტებს, რასაც წარუდ-
გენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
სახალხო კომისართა საბჭო, ცალკე უწყებანი, მოკავშირე
რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-
ტები, მათი პრეზიდიუმები და ხელისუფლების სხვა ორ-
განო.

34. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი
პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრე-
ტები და დადგენილებანი დაიბეჭდება მოკავშირე რეს-
პუბლიკების საერთო—სახმარებელ (რუსულზე, უკრაინულ-
ზე, ბელორუსულზე, ქართულზე, სომხურზე და თურქულ-
თათრულზე) ენებზე.

35. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრე-
ზიდიუმი გადასწყვეტს ურთიერთობის საკითხს, ერთის
მხრით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-



რის სახალხო კომისართა საბჭოსა და სტატუსის სოციალისტური რესპუბლიკურის კავშირის სახალხო კომისართა ტერიტორიაზე შორის და, მეორეს მხრით, მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და მათ პრეზიდიუმებს შორის.

36. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკურის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი პასუხისმგებელია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკურის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

თავი მემკვეთ.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკურის კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

37. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკურის კავშირის სახალხო კომისართა საბჭო არის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკურის კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და მოეწყობა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკურის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკურის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;

თავმჯდომარის მოადგილე;

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი;

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი;

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი;

გზათა სახალხო კომისარი;

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი;

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი;



სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

შრომის სახალხო კომისარი;

სასურსათო სახალხო კომისარი;

ფინანსთა სახალხო კომისარი.

38. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭო—იმ უფლებათა ფარგლებში, რაც მას მინიჭებული აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დებულების საფუძველზე—გამოსცემს დეკრეტებსა და დადგენილებათ, რომელთა აღსრულება სავალდებულოა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელს ტერიტორიაზე.

39. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭო განიხილავს დეკრეტებსა და დადგენილებათ, რასაც მას წარუდგენს როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცალკე სახალხო კომისარიატები, ისე მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და მათი პრეზიდიუმები.

40. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალო კომისართა საბჭო მთლად თავის მუშაობაში პასუხისმგებელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

41. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება და განკარგულება შეიძლება შეჩერებულ და გაუქმებულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენ-



ტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზი-
დიუმის მიერ.

42. მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტები და მათი პრეზიდიუმები განა-
სახივრებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტსა და დად-
გენილებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზი-
დიუმში ისე კი, რომ ვერ შეაჩერებენ მის შესრულებას.

თავი მეზოდე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზე-
ნაესი სასამართლო.

43. რათა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დამყარებულ იქნეს რევოლუ-
ციონური კანონიერება, საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-
ტეტთან დაარსდება უზენაესი სასამართლო, რომლის კომ-
პეტენციასაც მიეკუთვნება:

ა) სახელმძღვანელო ახსნა-განმარტების მიცემა მო-
კავშირე რესპუბლიკათა უზენაესი სასამართლოებისათვის
საერთო-საკავშირო კანონმდებლობის სფეროში;

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის უზენაესი სასამართლოს პროკურორის წარდგენით
განხილვა და განსაჩივრება საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის წინაშე მოკავშირე რესპუბლიკათა უზენაესი
სასამართლოების დადგენილებათა, გადაწყვეტილებათა და
განაჩენისა იმ მოსაზრებით, რომ ეს დადგენილებანი, გადა-
წყვეტილებანი და გჯ აჩენი ეწინააღმდეგება საერთო-სა-



კავშირო კანონმდებლობას, ან შეეხუბა სხვა რესპუბლიკა-
თა ინტერესებს;

გ) დასკვნის მიცემა საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მოთხოვნით მოკავშირე რესპუბლიკათა ამა-
თუ იმ დადგენილების კანონიერების შესახებ კონსტიტუ-
ციის თვალსაზრისით;

დ) სასამართლო დავის გადაწყვეტა მოკავშირე რეს-
პუბლიკებითა შორის;

ე) კავშირის იმ უმაღლესი თანამდებობის პირთა სა-
ქმის განხილვა, რომელთაც ბრალად ედებათ თანამდებობ-
რივი დანაშაული.


44. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის უზენაესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემა-
დგენლობით:

ა) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომები;

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო-სასამართლო
კოლეგია და სისხლის-სამართლის სასამართლო კოლეგია;

გ) სამხედრო და სამხედრო-სატრანსპორტო კოლე-
გია.

45. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რის უზენაესი სასამართლო მისი პლენარული სხდომის
შემადგენლობით მოწყობა 11 წევრისაგან,—მათ შორის
ირიცხება თავმჯდომარე და მისი მოადგილე,—მოკავშირე
რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების პლენარულ
სხდომათა ოთხი თავმჯდომარისაგან და საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების კავშირის გაერთიანებული სა-
ხელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ერთი წარმომად-
გენლისაგან; ამასთანავე თავმჯდომარეს, მის მოადგი-
ლეს და დანარჩენ ხუთ წევრს დანიშნავს საბჭოთა სოცი-



აღისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

46. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის უზენაესი სასამართლოს პროკურორს და მის მო-
ადგილეს დანიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-
კების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-
ტის პრეზიდიუმი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-
კების კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურორის
მოვალეობას შეადგენს მისცეს დასკვნა ყველა საკითხის
შესახებ, რომლის გადაწყვეტაც ექვემდებარება საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაეს სასა-
მართლოს, დაიცვას ბრალდება მის სხდომაზე და უკეთუ
არ გაიზიარებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომის
გადაწყვეტილებას—განასაჩივროს იგი საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე.

47. უფლება 43 მუხლში აღნიშნული საკითხების
წარმართვისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომის
განსახილველად შეიძლება განხორციელდეს მარტოოდენ
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენ-
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით,
აგრეთვე მისი პრეზიდიუმისა, საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის უზენაესი სასამართლოს პრო-
კურორისა, მოკავშირე რესპუბლიკათა პროკურორებისა
და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამშართვე-
ლოს ინიციატივით.

48. კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენარული
სხდომები შეადგენენ სპეციალურ სასამართლო საკრებუ-

ლოებს (შედგენილობათ) შემდეგი საქმეების განახლების შედეგად:

ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმე, რომელიც თავის შინაარსით შეეხება ორს ან რამდენსამე მოკავშირე რესპუბლიკას და

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წევრების სასამართლოსათვის პერსონალურად დაქვემდებარების საქმე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეთა საწარმოებლად მიღება შეიძლება მარტოოდენ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

თავი გვრცე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატები.

49. სახელმწიფო მართვა-გამგეობის იმ ცალკე დარგების უმუალო ხელმძღვანელობისათვის, რაც შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობის სფეროში,— მოეწყობა ამა კონსტიტუციის 37 მუხლში აღნიშნული 10 სახალხო კომისარიატი, რომელიც მოქმედებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახალხო კომისარიატების შესახებ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

50. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატები არის:



ა) საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატები—
ერთიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთე-
ლი კავშირისათვის;

ბ) გაერთიანებული სახალხო კომისარიატები საბ-
ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა.

51. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებია:

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი;
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისა-
რიატი;

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი;

გზათა სახალხო კომისარიატი;

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი.

52. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის გაერთიანებული სახალხო კომისარიატებია:

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო;

სასურსათო სახალხო კომისარიატი;

შრომის სახალხო კომისარიატი;

ფინანსთა სახალხო კომისარიატი;

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისა-
რიატი.

53. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებს მო-
კავშირე რესპუბლიკებში ჰყავთ თავიანთი რწმუნებულნი,
რომელნიც უშუალოდ მათ ემორჩილებიან.

54. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის გაერთიანებული სახალხო კომისარიატების ორ-
განოები, რომელნიც მოკავშირე რესპუბლიკების ტერი-
ტორიაზე ანხორციელებენ აღნიშნული კომისარიატების
დავალებას—არის იმავე სახელწოდების სახალხო კომისა-
რიატები ამ რესპუბლიკებისა.

55. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-



შირის სახალხო კომისირიატების—სათავეში სლგუნან სა-
ხალხო კომისართა საბჭოს წევრები—საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომის-
რები.

56. თვითეულ სახალხო კომისართან მისივე თავ-
მჯდომარეობით მოწყობა კოლეგია, რომლის წევრებაც
დანიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის სახალხო კომისართა საბჭო.

57. სახალხო კომისარს უფლება აქვს პირადათ გა-
დასწყვიტოს ყოველი საკითხი, რომელიც ეძვემდებარება
სათანადო კომისარიატის გამგებლობას, ხოლო უნდა აკ-
ნობოს ეს კოლეგიას. უკეთუ კოლეგია ან მისი ცალკე
წევრები არ გაიზიარებენ სახალხო კომისრის გადაწყვე-
ტილებას, მათ შეუძლიანთ განასაჩივრონ იგი საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კო-
მისართა საბჭოში, ხოლო ვერ შეაჩერებენ გადაწყვეტი-
ლების შესრულებას.

58. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის ცალკე სახალხო კომისარიატების განკარგულება
შეიძლება გაუქმდებულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბ-
ჭოს მიერ.

59. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი შეიძ-
ლება შეჩერებულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკათა ცენ-
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა ან მათივე
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდი-
უმების მიერ, როცა ესა თუ ის განკარგულება აშკარად
არ ეთანაბრება საკავშირო - კონსტიტუციას, კავშირის
კანონმდებლობას ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდე-
ბლობას. მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმას-



რულებელი კომიტეტი ან ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განკარგულების შეჩერებას დაუყოვნებლივ აცნობებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისარს.

60. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარი პასუხისმგებელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

თავი 88 ცხრეს.

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

61. მოკავშირე რესპუბლიკების რევოლუციონურ ღონისძიებათა გაერთიანებისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური კონტრ-რევოლუციისა, ჯაშუშობისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, რომლის თავმჯდომარეულების სათათბირო ხმის უფლებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში.

62. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ხელმძღვანელობას გაუწივს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს თავისი რწმუნებულების მეშვეობით; ხსენებული რწმუნებულები იმყოფებიან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო



კომისართა საბჭოებთან და მოქმედებენ მისამართმდებლობის
ბითის წესით დამტკიცებული სპეციალური დებულების
საფუძველზე.

63. ზედამხედველობა საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო
პოლიტიკური სამმართველოს მოქმედების კანონიერები-
სათვის განხორციელდება საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურო-
რის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის
სპეციალური დადგენილების საფუძველზე.

თავი მეათე.

მოკავშირე რესპუბლიკები.

64. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტო-
რიის ფარგლებში ხელისუფლების უმაღლესი ორგანო
არის რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა, ხოლო ერთი
ყრილობიდან მეორე ყრილობამდე—მისი ცენტრალური
ოლმასრულებელი კომიტეტი.

65. მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უმა-
ღლეს ორგანოთა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-
ლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლეს თრგანოთა
ურთიერთი დამოკიდებულება განსაზღვრულია ამა კონსტი-
ტუციით.

66. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრა-
ლური ალმასრულებელი კომიტეტი აირჩევს თავის წრი-
დან პრეზიდიუმს, რომელიც ცენტრალური ალმასრულე-
ბელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორე სესიამდე არის
ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

67. მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური ალ-
მასრულებელი კომიტეტი შექმნის თავის ალმასრულებელ

ორგანოს — სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი შემადებით:

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;
თავმჯდომარის მოადგილენი;
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

მიწადმოქმედების სახალხო კომისარი;

ფინანსთა სახალხო კომისარი;

სასურათო სახალხო კომისარი;

შრომის სახალხო კომისარი;

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი;

იუსტიციის სახალხო კომისარი;

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი;

განათლების სახალხო კომისარი;

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი;

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი;

და აგრეთვე სათათბირო ან გადამწყვეტი ხმის უფლებით,—მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებისამებრ,—

რწმუნებულნი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა, საგარეო ვაჭრობისა, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარებისა.

68. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და სასურათო, ფინანსთა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები დაემორჩილებიან რა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ ოლმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს,—განახორციელებენ თავიანთ მოქმედებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისარიატების დირექტივებს.

69. ამნისტიის უფლება და აგრეთვე შეწყალებისა

და რეაბილიტაციის უფლება იმ მოქალაქეთა შიმართ, რომ
შელნიც მსჯავრდა-დებული იქნებიან მოკავშირე რესპუბ-
ლიკის სასამართლო და აღმინისტრატიული ორგანოების
მიერ—დარჩება ამ რესპუბლიკის ცენტრალურ აღმა-
სრულებელ კომიტეტს.

თავი მეთართხმეთა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
ლერძი, დროშა და დედა-ქალაქი.

70. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის სახელმწიფო ლერძი წარმოადგენს დედამიწის
ბურობზე მზის სხივებში გამოყვანილ და პურის თავ-
თავით გარშემოვლებულ ნამგალსა და უროს. ლერძს აქვს
შემდეგი წარწერა 34 მუხლში აღნიშნულ ექვს ენაზე:
„პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ლერძის
თავში მოთავსებულია ხუთთავიანი ვარსკვლავი.

71. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის სახელმწიფო დროშა არის წითელი ან აღისფერი
ქსოვილი, რომლის ზედა კუთხეში ბუმთან გამოყვანილია
ოქროს ნამგალი და ურო, ხოლო ამათ ზევით წითელი
ხუთთავიანი ვარსკვლავი, მოოქრული არშიით გარს-
შემოვლებული. შეფარდება სიგანისა სიგრძესთან- 1:2.

72. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის დედა ქალაქი არის მოსკოვი.



၁၂